მიპატიჟება სასწავლებელში

წამოდექით, ყმაწვილებო,
ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე,
აბა, თავი მოიყარეთ
სწავლისათვის თავის დროზე!.
რა ხანია მამლაყინწამ
იყივლა და გაათენა,
მერცხალმაც კი იჭიკჭიკა,
არ დააცხრო ტკბილი ენას.
აგერ ტყემაც გაიღეიძა,
შრიალებს და რაცღას ხარობს,
კოდალა ხეს უკაკუნებს,
და მწყერ–ჩიტა ცაში გალობს
მინდორი და ველი ჰყვავის,
ნამი ბზინავს ათას ფერად,
მზემაც თვალი გააჭყიტა.
ამოვიდა მათ სამზერად...
ჭინჭველები ველს მოედნენ,
თითქოს რაღაც ჯოგიაო,
მოლაღურიც გაიძახის
მაღლა: "ბიჭო დ გოგიაო!..ნ
ჭია–ღუა სარჩოს ჰზიდავს,
რომ გაივსოს თავის ბინა, ,
და ფუტკარიც მიზუზუნებს
ყვავილისკენ თაფლისთვინა!...
კაცი, მხეცი და ჩიტები --
ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა,
მეთევზეა ბადესა ჰშლის,
და მუშაკი იქნევს ცელსა...
წამოდექით, ყმაწვილებო,
თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი, --
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს,
წიგნს მოჰკიდეთ აბა, ხელი!.

1883 წ.